№ 15-16, თბილისი, 1943 წ. გამოცემის წელი XX. გამომცემლობა „კომუნისტი“. ფასი 1 მ.

# ნიანგი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახ. ს. ნადარეიშვილისა

## ხმელთაშუა ზღვის ნაპირას

— რამ დაღონა ნეტა გენერალი რომმელი? მას უკანდახევა ხომ კარიერას უკეთებს, ეგვიპტის და ლიბიის ფრონტებიდან მოკურცხვლისათვის ხომ ქება-დიდებაც მიიღო?!. უნდა ვიფიქროთ, რომ არც ტუნისიდან მოცოცხვისათვის დასჯიან...

— მართალია, მაგრამ ეხლა ევროპიდანაც მალე უნდა გავიქცეთ და გასაქცევი კი აღარსად არის.

# „დაუსრულებელი სიხარული“

„გებელსმა გაზ. „დას რაიხსში“ მოათავსა სტატია, რომელშიაც ის ტრაბახობს, თითქოს იმ ქალაქებში მცხოვრებ გერმანელებს, რომლებიც სისტემატურად იბომბება, კარგი მორალური მდგომარეობა ჰქონდეთ“.

ნეიტრალურ უცხო სახელმწიფოს პრესის წარმომადგენელი, რომელიც რამდენიმე თვე ცხოვრობდა ბერლინში და საკმაოდ შეჩვეული იყო გებელსის რადიოს ცრუ ცნობებს და საერთოდ ფაშისტების უგუნურ ტრაბახს, მაინც გააკვირვა გებელსის განცხადებამ: „გერმანიის იმ ქალაქების მცხოვრებთ, რომელნიც სისტემატურად იბომბებიან, კარგი მორალური მდგომარეობა აქვთო“.

პრესის წარმომადგენელმა აშკარად გამოსთქვა თავისი გაოცება თვით გებელსის წინაშე.

გებელსი შეეკითხა უცხოელს:

— იქნებ თქვენ გსურთ თვით დარწმუნდეთ ჩემი სიტყვების სიმართლეში? ჩვენ საშუალებას მოგცემთ, კაცსაც გაგატანთ, შეგიძლიათ დაიაროთ ყველა ის ქალაქები, რომელნიც მუდმივ ბომბარდირებას განიცდიან.

უცხოეთის პრესის წარმომადგენელმა სურვილი განაცხადა. მხოლოდ სახეზე ეტყობოდა, რომ რაღაც აწუხებდა და ვერ ამჟღავნებდა წუხილის მიზეზს.

გებელსმა შენიშნა წუხილი და უთხრა:

— რა თქმა უნდა იმ ქალაქების დათვალიერება ერთგვარ რისკს წარმოადგენს...

— არა, მე ეს არ მაშინებს,—უპასუხა უცხოელმა.—მე მხოლოდ იმაზე ვწუხვარ, რომ თქვენ მითხარით კაცს გაგაყოლებთო, უთუოდ გესტაპოელს გამაყოლებთ და მასთან ხომ არავინ სიმართლეს არ იტყვის.

— ამაზედაც ხათრს არ გაგიტეხთ. — უთხრა გებელსმა.—გესტაპოელს სამოქალაქო ტანსაცმელი ეცმევა.

უცხოეთის პრესის წარმომადგენელი და გადაცმული გესტაპოელი გაემგზავრნენ.

გესტაპოელი შეეკითხა:

— რომელი ქალაქი გსურთ პირველად ნახოთ?

— კენიგსბერგი! — იყო პასუხი და გაემგზავრნენ კენიგსბერგში.

კენიგსბერგში რომ შევიდნენ, ის იყო განგაში უკვე დასრულებული და დამფრთხალი მოქალაქეები ლანდებივით დარბოდნენ ქუჩებში.

მოქალაქეთა ერთ ჯგუფს მოესწრო კიდეც და, ერზაცების რიგებიდან ბრუნდებოდნენ.

გესტაპოელი შეეკითხა პრესის წარმომადგენელს:

— როგორ გსურთ, მოქალაქეთა ჯგუფს შეუყაროთ თავი, თუ ცალცალკე თითო მოქალაქესთან ისაუბრებთ?

— კარგი იქნება თუ აი ამ ჯგუფს, აგერ რომ მოდის, შევაჩერებთ.

— კენიგსბერგელებო!—მიმართა გესტაპოელმა—სამ მოქალაქეს, რომელნიც ერზაცების რიგებიდან ბრუნდებოდნენ,—ცოტახანს შეჩერდით, თქვენთან საუბარი უნდა უცხოეთის სახელმწიფოს პრესის წარმომადგენელს.

მოქალაქენი შეჩერდნენ, სამივეს სახეზე ეტყობოდა სიმშილი, შიში და გულგატეხილობა.

— ჩვენ დავათვალიერეთ თქვენი ქალაქი, დიდად დაზიანებულა, ალბად დიდ გაჭირვებას განიცდით. როგორია თქვენი სულიერი განწყობილება?—შეეკითხა პრესის წარმომადგენელი.

— სულიერი განწყობილება? ჩინებული ბატონო!—ერთხმად უპასუხეს მოქალაქეებმა.

პრესის წარმომადგენელმა გაიფიქრა,—რომ ამ გესტაპოელს გადაცმულსაც სცნობენ ალბადო და მიტომ ასე მიპასუხესო. იგი ისევ შეეკითხა მათ ირონიულად:

მაინც როგორ ატარებთ დროებას?

— სიხარულში, ბატონო!—უპასუხა ყველაზე უფრო გამხდარმა, თვალებ-ჩაღრმავებულმა კოჭლმა მოქალაქემ.

— როგორ თუ სიხარულში?—გაიკვირვა პრესის წარმომადგენელმა.

— ნამდვილად სიხარულში, ბატონო—უპასუხა ისევ კოჭლმა.—მე, ბატონო, საკუთარი დუქანი მქონდა სწორედ აი ამ ქუჩაზე, ხედავთ იმ ნანგრევებს? აი იქ იყო. ამ ერთი თვის წინად, ის დაანგრია ბომბარდირებამ, ვერ წარმოიდგენთ ჩემს სიხარულს მე ისე ძალიან მიხაროდა...

— რა გიხაროდათ? თქვენი დუქნის დანგრევა?—ვეღარ მოითმინა პრესის წარმომადგენელმა.

— არა ბატონო, მე იმდენად სულელი არა ვარ, რომ ჩემი ორმოცი წლის ნაშრომის ერთ წუთს განადგურება გამხარებოდა. მე ის მიხაროდა, რომ დუქანი დაინგრა ადრე დილით, როცა მე და ჩემი ცოლი შიგ არ ვიყავით და გადავრჩით. საერთოდ, ჩვენ ძლიერ ხშირად განვიცდით სიხარულის გრძნობას.

— მაგალითად?—ისევ შეეკითხა უცხოეთის პრესის წარმომადგენელი.

— მაგალითად: როცა საღამოს დავწვებით და დილით ვნახავთ, რომ ჩვენი სახლი არ არის დანგრეული, ან ვთქვათ, სახლი დანგრეულია, მაგრამ ჩვენი ბინა გადარჩა, ან თუნდაც ბინა დაინგრა, მაგრამ ჩვენ თვით გამოვასწარით გარეთ და ცოცხლები გადავრჩით. ჰო, ბატონო, ვინც დაიხოცა იმათი რა მოგახსენოთ და ჩვენ დიდად მოხარული ვართ.

როცა მოქალაქეები გაშორდნენ, გესტაპოელმა უთხრა უცხოელს:

— აი, ხედავთ, ბატონო ჟურნალისტო, გებელსის სიტყვები ხომ მართალი ყოფილა? გაიგონეთ რას ამბობდნენ მოქალაქეები—მოხარულები ვართო.

— გავიგონე, საწყლებს მართლაც ხშირად ჰქონიათ სიხარულის მიზეზი!—ირონიული ღიმილით სთქვა უცხოელმა ჟურნალისტმა.

მ. გრიგალიძე

---

# შეუსრულა

ვოლხოვის ფრონტზე მოკლულ ჯარისკაცს უნახეს წერილი ცოლისგან, რომელიც სწერდა: ჩვენი რაიონი მთლად დანგრეულია, თუ ყველაფერი დაგვენგრევა და აღარაფერი გვექნება, ფრონტიდან შენი დაბრუნებაც არ იქნება საჭირო.

გაზეთებიდან

ნახ. ს. ნადარეიშვილისა



— საწყალი კარლ, ცოლისგან მიღებული წერილი წამაკითხა რომელშიც ცოლი ატყობინებდა, რომ მათი ქონება მოკავშირეთა ბომბდამშენებს სულ დაუნგრევიათ, თუ აღარაფერი აღარ გვექნება რით უნდა ვიცხოვროთ, მაშინ შენს დაბრუნებასაც აზრი აღარ ექნებაო.

— აი, ცოლის მოყვარული კაცი, რჩევა შეუსრულა. მართლაც რაღა საჭირო იყო მისი სახლში დაბრუნება?

# მოკავშირეები

პირველი იმპერიალისტური ომის დროს კლემანსომ, გერმანიისა და იტალიის კავშირი შ·ადარა ცხენისა და მხედრის კავშირს. **გაზეთებიდან**

ნახ. მ. ვადბოლსკისა



**— აჩუ, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს საზღვარი!**

# ვერ დაჭყარავს

„გერმანელი ფაშისტები უკვე ტრაბახობენ არა იმითი რომ მათ ჩაატარეს, ან განზრახული აქვთ ჩაატარონ ელვისებური შეტევა, არამედ იმით, რომ მათ მოახერხეს მარჯვედ დაეძვრინათ თავი ინგლისის ჯარების მხრივ გარემომცველი დარტყმისაგან ჩრდილოეთ აფრიკაში, ან საბჭოთა ჯარების მხრივ გარშემორტყმისაგან დემიანსკის რაიონში." **ი. სტალინი**

ერთხელ მოლა ნასრედინმა
სხვის ბოსტანში ხილი ნახა,
და იმ ხილის მოპარვა და
გატაცება განიზრახა.

მაგრამ როგორც მან სხვის ბოსტანს
დააკარა ცალი ფეხი,
„ტკაც!"—გასძახა რაღაც ხმამ და
თავს დაატყდა მომხდურს მეხი.

რკინის მახე მოხვდა წვივზე
ფეხის ძვალი გადუტეხა,
წაიფორხა და ტკივილით
იწყო მოლამ მანჭვა-გრეხა.

ყავარჯენის ნაცვლად, ქურდმა
მოიშველა გრძელი სარი
და ცალფეხით შინისაკენ
გაიძურწა აბეზარი.

აზრიალდა შინ ცოლშვილი,
როს ცალფეხა ნახეს მოლა,
ჯავრისაგან ცოლმა ლამის
ქვებით თავი ჩაიქოლა.

თან შეჰკითხეს „რა შეგემთხვა?"
ერთხანს იყო მოლა უხმოდ
და შემდეგ კი—„მადლი ალახს" —
მან წარმოსთქვა საპასუხოდ,

„მადლი ალახს! ღვთის წყალობა
ვის უნახავს ჩემისთანა,
ერთი ფეხი მის წყალობით,
უვნებელი მომყვა თანა''.

გერმანელმა მტაცებლებმაც
მოიტეხეს ჩვენში ფეხი,
გამარჯვებას ბაქიობდნენ,
შეაბრუნეს ახლა კეხი:

სტალინგრადზე თვალს ხუჭავენ,
გასძახიან ზეიმ-ზარით:
„დემიანსკის სიმაგრიდან
წითელ მხედრებს გავასწარით!

აფრიკაშიც რომ პრესტიჟი
რასის, მაღლა აგვეწია,
უკან ისე გამოვფრინდით,
რომ ქარიც ვერ დაგვეწია".

ო, ბაქია ჰიტლერელებს
ბევრი რამ აქვთ მოლას მსგავსი,
ნასრედინის „ჭკვიან" ქცევას
ვერ დაჰფარავს დრო და ხავსი.

**ს· ისარიძე**

# გერმანული ვირის სტრატეგია

(შემოკლებით)

ძველ რომში ამბობდნენ: ცხვრების არმია, რომელსაც მეთაურობს ვეფხვი, უფრო ძლიერია, ვინემ ვეფხვების არმია, რომელსაც მეთაურობს ცხვარი.

ჰიტლერული არმია—ეს არის მგლების არმია, რომელსაც მეთაურობს ვირი. რით არის გატაცებული ამჟამად გერმანელ—ფაშისტური [illegible] ყურებს მალავს, მიუხედავად იმისა, რომ მისი ყურები მაინც სჩანან სტალინგრადის რაიონში, ვორონეჟთან, ლენინგრადთან და ჩრდილოეთ კავკასიაში. ყველგან [illegible]ბიან გერმანელი მგლები, იტალიური ტურები, უნგრული ძაღლები და რუმინული ღორები. ვირი გარბის ყველაზე წინ. ამის დამალვა ძნელია. ამას ხედავს მთელი კაცობრიობა და თვით გერმანელი ხალხი.

ჰიტლერული მატყუარები გაჰყვირიან, რომ გერმანელები თავისი ნებით უკან იხევენ, რომ ისინი ფრონტს ასწორებენ.

კი არ გარბიან, არამედ ფრონტს ასწორებენ!

ჰიტლერელებს სიკვდილივით ეჯავრებათ სიტყვა „დამარცხება". ისინი იგონებენ „ბრძნულ" სიტყვებს, ოღონდ „დამარცხება" განდევნონ ხმარებიდან. იმის აღიარება, რომ ჰიტლერი დამარცხებულია, ეს ნიშნავს ჰიტლერის სიკვდილს.

ოდესღაც ეგვიპტელებმა ხარი ღმერთად გამოაცხადეს. ისინი ხარს უწოდებდნენ წმინდა აპის და მას თაყვანს სცემდნენ მაგრამ დადგა დრო, როცა ხალხმა თავისი ღმერთის მაგიერ უბრალო ხარი დაინახა.

ასევე ძალე დადგება დრო და გერმანელი ხალხი ჰიტლერში დაინახავს უბრალო, ჩვეულებრივ ვირს. წითელმა არმიამ გერმანული არმიის დაუმარცხებლობის მითი გააქრო ომის პირველ თვეებში, ახლა კი წითელი არმია გერმანიის სტრატეგიის სიდიადეს აქარწყლებს. იგი ამხილებს სახედარს გერმანიის მთავარსარდლის სახით, წითელმა არმიამ არა თუ გაანადგურა გერმანული დივიზიები, არამედ გაანადგურა მთელი სტრატეგია ჰიტლერული მთავარსარდლობისა. ყველა ხალხთა არაკებში ვირი სულელ ცხოველადაა გამოყვანილი. ასეთივეა იგი გერმანულ სამხედრო სინამდვილეშიაც.

ადოლფ ფონ ეზელ—გერმანულად ნიშნავს ადოლფ ვირს. სწორედ ეს ვირია იგი, რომელსაც გერმანული არმია მიყავს აუცილებელ და საბოლოო დამარცხებისაკენ.

**დ. ზასლავსკი**

# ტუნისის ტრაგიკომედია

„როგორც წესი გერმანელები აფრიკაში ცდილობდნენ გამოსულიყვნენ მძიმე მდგომარეობიდან და ბედის ანაბარად სტოვებდნენ იტალიელებს. უკანდახევისას გერმანელებს მიჰქონდათ მთელი ტრანსპორტი და წყალი .," **გაზეთებიდან**

**ნახ. ა. კანდელაკისა**



**იტალიელი გენერალი (გერმანელ ეფრეიტორს) —არა გრცხვენიათ, გვტოვებთ ამ უდაბნოში ბედის ანაბარად. წყალი მაინც დაგვიტოვეთ!**

**გერმანელი ეფრეიტორი—მხოლოდ უსირცხვილო იტალიელებს შეუძლიათ არ შეუწყონ ხელი უდიდესი რასის წარმომადგენელ გერმანელებს მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლისათვის. რაც შეეხება წყალს, ამ მხრივ დაგეხმარებით: აქვე, რამდენიმე კილომეტრზე ხმელთაშუა ზღვაა და ნება გეძლევათ მისი წყლით ისარგებლოთ.**

# შემსუბუქება შეპისპურად

ბერლინის ერთერთ უბნის სასამართლოში ირჩეოდა ბერლინელ დიასახლის ქალის, ფრაუ ამალია გროსვალდის საქმე. პროკურორი ხრიხერი ბრალს სდებდა ამალიას გერმანიის მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლისათვის და საერთოდ, პესიმისტურ განწყობილებისათვის.

— ფრაუ გროსვალდ—დაიწყო პროკურორმა—მართალია თუ არა, რომ თქვენ დაცინვით მოიხსენიეთ ფიურერის სიტყვები:—„როდესაც ჩვენ დავიპყრობთ უკრაინას, ციმბირს და კავკასიას—გერმანელი დიასახლისი ქალი შემსუბუქებას იგრძნობსო“?

— სანამ მაგაზე გიპასუხებდეთ, ჯერ განმიმარტეთ, რას ნიშნავს ეგ სიტყვები? მე არ მესმის. აი, მე დიასახლისი ვარ და უკვე დავკარგე ომში ქმარი და უფროსი ქალიშვილი. ეს არის ჯერჯერობით ჩემი შემსუბუქება.

— ხა! ხა! ხა! აი სულელი დედაკაცი! რასაკვირველია, შემსუბუქებაა თქვენი მდგომარეობის. განა არ არის შემსუბუქება ის რომ ხუთი სადილის მაგიერ—სამი სადილი დაგრჩათ დასამზადებელი, ხუთი ულუფა პურისა და კარტოფილის მაგიერ—სამი გეყოფათ. შრომაც შეგიმსუბუქდათ და ხარჯიც.

ბრალდებულმა მკვახედ მიუგო:

— გმადლობთ ასეთი განმარტებისათვის. ასეთი „შემსუბუქება“ სხვა რამითაც ვიგრძენი: მე ქალიშვილი მყავს. ესესელმა ძალით გააუპატიურა ის და ამჟამად ფეხმძიმედაა, როგორი იქნება ჩემი სულიერი მდგომარეობა, ან უსუსური ბავშვი ვინ არჩინოს?

— აი ბრიყვი! ბატისტვინა! თქვენ თუ დანაკლისი გაქვთ ოჯახის წევრების მხრივ ქმრის—და შვილის სახით, ბავშვის დაბადების შემდეგ ახალი წევრი შეგემატებათ, მაშასადამე, ეს მდგომარეობის შემსუბუქებაა, თქვენი ქალი ფეხმძიმობიდან განთავისუფლდება. ესეც მისი შემსუბუქებაა... კიდევ რაღა გინდა?

— მე ფიზიკურადაც განადგურებული ვარ. მე ჯანმრთელი ქალი ვიყავი და აი ეხლა შემხედეთ რასა ვგევარ.

— ახ! გასაგებია! თქვენ ალბათ მსუქნად იყავით და ეხლა კი რამოდენიმე კილო დაიკელით. რა პოეზიაა: მე რომ შემეძლოს ასეთი რამ, ბედნიერი ვიქნებოდი. აი სიმსუქნისაგან ძლივს დავდივარ, ყოველ წელს ვექიმობ, კურორტებზე დავდივარ და მაინც ვერ დავიკელი. თქვენ კი ასე მსუბუქად დადიხართ, თანაც კურორტებზე ექიმობა არ დაგჭირდებათ, მაშასადამე, ხარჯიც შეგიმცირდებათ. ყველაფერი ეს არ არის განა შემსუბუქება? ტყუილად წუწუნებთ.

ამ სიტყვებზე პროკურორმა მცირე პაუზა გააკეთა, შემდეგ ირიბად შეხედა და მკვახედ მიახალა:

— მე შემიძლია თქვენ მაინც დაგეხმაროთ, კიდევ უფრო შეგიმსუბუქოთ თქვენი მდგომარეობა: რამოდენიმე ხნით მოგათავსოთ საკონცენტრაციო ბანაკში და ოჯახურ საქმეებსა და ფიქრს მოგაშოროთ. ამით დაისვენებთ და შემსუბუქება სრულყოფილი იქნება. გაიყვანეთ!—დაასრულა პროკურორმა და დასტური მისცა სასამართლოს თავმჯდომარეს.

**დონ პედრო.**

# ნ ა რ ე ვ ი

## გულახდილობა

ერთხელ, ნეიტრალურ უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომი შეეკითხა ბერლინელ მედუქნეს:

— რა აზრისა ხართ თქვენ, რიგითი გერმანელები, აღმოსავლეთ ოლქების დაპყრობის შესახებ?

მედუქნე გერმანელმა გულახდილად უპასუხა:

— ჩვენ ამაში არავითარ სარგებელს არ ვხედავთ.

ჩვენ ახალი ოლქების დაპყრობის შესახებ ისეთი აზრისა ვართ, როგორი აზრისაც იქნებოდა პატიმარი, თუ მას ეტყოდნენ, რომ ციხეს, რომელშიაც ის ზის, ახალ კორპუსს უმატებენ.

## ·არიული გამბედაობა

ორი ფაშისტი ოფიცერი დაობდა იმის შესახებ, თუ რომელს უფრო მამაცი ჯარისკაცები ჰყავს გუნდში. ერთმა თქვა:

— ყველაზე მამაცები, რასაკვირველია, ჩემი ჯარისკაცებია: ამას წინად, რუსებთან ბრძოლის დროს იმათ გაბედეს და უკან მოცოცხეს მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მეავტომატეების ტყვები წვიმასავით გვიშენდა.

— ეს რა არის!-უთხრა მეორემ-აი ჩემი ჯარისკაცების გულადობა უნდა ნახოთ: ამას წინად, როცა მე იმათ შეტევაზე მივრეკავდი, არ შეეშინდათ და ფეხი არ მოიცვალეს სანგრებიდან, თუმცა მათ ესროდა ჩვენი პოლკის მთელი არტილერია.

ტექსტი ი. ხვენისა

# მოთხრობა წვირიან ფრიცზეა დაუსრულებელ „კრიგ-ბლიცზე“

ნახ. დონისა

### I. ფრიცი კავკასიისაკენ აპირებს

ერთხელ ფრიცმა განიზრახა
კავკასია რომ ენახა.
მიატოვა თავის გრაცი,
სადაც იშვა ერზაც-კაცი.
ის ფიქრობდა: „კრიგ ისტ ბლიცი“
დიდხანს ხომ არ გაკრძელდება?!
და ნადავლით დაბრუნება
მისთვის აღარ გაძნელდება.
მოივლის და მიატოვებს
კავკასიის მთებს და თერგსა,
ნაძარცვების მრავლად ხვეჭით
აჯობებს თვით მოლეტელბერგსა.
მოლეტელბერგმა კი ომიდან
ბევრი რამე გააქანა,
მან დატვირთა ნაძარცვებით
საბარგული და მანქანა...



ფრიცმა იხმო თავის ცოლი
სიდედრი და ქალიშვილი,
მთელი ღამე საუბრობდნენ,
არ მოსვლიათ დიდხანს ძილი.
ფრიცმა ყველა მოიგონა,
მას ყველასთვის გული ეწვის;
სიდედრსა და ნათლიდედას
ჩამოუტანს ქურქებს ბეწვის.
და ცოლსა და თავის ქალსა
ბეხშტეინის როიალსა.
ფრიცი იწერს უბის წიგნში

საფეშქაშო კას, ბოტებს,
ტუფლებსა ლომბინიზონს,
არ ივიწყებს არც ნოტებს,
ჯალაბობა, გოუნული,
ამთქნარებს ღბრძვის ძილსა.
შესცქერიან ომში ფრიცს და
მის უბის წიგნადამლილსა.

### II. ფრიცმა გაიც კავკასიის მთები

პირველად ჰვეს ფრიცი ამ მთებს,
შეეცვალა შიშ ფერი,



მოსეირნობს ე დათვი
ვით დამა და ლერი.
ველარ ბედავს ამ გაინძრეს,
ან დაწვეს და იძინოს.
ფიქრობს: ვინ აქ გადარჩება
ბოლოს იმან გ ინოს.
ვინ სულელმა გონა
ეს შეტევა, ამ დე—ღრეში.
ყველა მთიულს შხანა აქვს
პარტიზანად დის ტყეში,
წვირიან ფრიცმ შეტევით
განა უნდა რამ რგოს?
სახალისო არი ანა
ხიშტზე მწვადა წამოეგოს?

ამ დღეებში, ადრე დილით,
როს არ იყო სულაც ნასმი,
მოეჩვენა რომ თავს ესხმის
პარტიზანთა მთელი რაზმი.



მაგრამ ფრიცმა ივაჟკაცა
და გაქცევით თავს უშველა...
მხოლოდ დასთმო ავტომატი
და შარვალი ჩაისველა.
ეს ამბავი თავის ოჯახს
ვითა გმირმა მან მისწერა,
ტყუილს ვერვინ შემწამებსო,
ასე ფიქრობს, ასე სჯერა.
მაგრამ ჩვენ კი მის სიცრუეს
გვსურს ავხადოთ უცებ ფარდა:



იქ მას არვინ შეხვედრია
მაშინ... ერთი ძროხის გარდა.

(გაგრძელება იქნება)

# ჩვეული რეჟიმზე უმჯობესია

ტყვე ჯარისკაცმა გერბერტ კ. განაცხადა: ცოტა ხნის წინ გერმანიაში ვიყავი. გამოცხადებული იყო ტოტალური მობილიზაცია. ჯარში გაწვეულთა შორის იყვნენ ლაქიები, ხნ ი ვაჟრები და ინვალიდები.

გაზეთებიდან

ნახ. მ. ვადბოლსკისა



ეფრეიტორი (ლაქიას სამხედრო მეცადინეობაზე)—შენ, ვირისთავო, განა ასე გასწავლე ხელში თოფის დაჭერა?

— რა ვქნა ბატონო ეფრეიტორო, 30 წელიწადია ლაქიათ ვარ და თეფშები სულ ასე მეჭირა ხელში. გადაჩვევა მიძნელდება!

# დ ი ა ლ ო გ ე ბ ი

### კვისლინგის შინამოსამსახურის ალღო

— ეტყობა ბატონი კვისლინგი დღეს ფეხით აპირებს ქუჩაში გავლას.

— რაზე ატყობ?

— იმაზე რომ ფრაუ მარტამ ექვსი ცხვირსახოცი ჩაუდო ჯიბეში.

— მერე რად უნდა მაგდენი ცხვირსახოცები?

— როგორ თუ რად, მაშ ხალხი რომ შეაფურთხებს, ერთი ცხვირსახოცი ეყოფა მოსახოცად?

ეროვნული ბიბლიოთეკა

### დასჯილგული

— ყველა ყველაა, მაგრამ ცხენების ცხობაში აღარ უძლებს მაინც ნურავინ შეედავება.

— როგორ, განა შულცი კავალერიაში მსახურობდა?

— არა, მაგრამ საბჭოთა ფრონტზე ყოფნის დროს რამოდენიმე ცხენის შეჭმა მაინც მოასწრო.

**მახვილაკი**

# გ ა ა მ ხ ნ ე ვ ა

### (გერმანელთა სანგრებში)

ზამთრის მოლოდინში ახალი ჯარისკაცები დაღონდნენ. ფელდფებელმა მიზერმა, რომელსაც სახელი განთქმული ჰქონდა როგორც კარგ ორატორს, მიიღო დავალება გაემხნევებინა ჯარისკაცები.

— რა ცხვირები ჩამოგიშვიათ, ჰუკებო?—დაიწყო ორატორმა.— ზამთარი მოდის, უნდა გიხაროდეთ. აბა თვით გასინჯეთ რა კარგი იქნება ზამთარი, მტერი არ იქნება, ტალახში აღარ ჩაიფლობით, წვიმა აღარ დაგასველებთ, კოღოები აღარ შეგაწუხებთ, ის ულმობელი კოღოები, რომელნიც დაუნდობლად სვამდნენ თქვენს არიულ სისხლს დაიხოცებიან.

განა კოღოები გაიყინებიან?—იკითხა ახალგაზრდა ჯარისკაცმა.

— მაშ-მაშ! აქ ჩემო კარგო ისეთი ზამთარი იცის, რომ არა თუ კოღო, აქლემიც გაიყინება.

— აქლემიც?

მაშ რა გგონია გეთაყვა. აქ ჩემო ძმაო, ისეთი ყინვები იცის, რომ თუნდაც ქალის ჩულქი გქონდეს შემოხვეული ცხვირზე მაინც ვერას გიშველის, მიგაყინავს—და უკვე დაემშვიდობე ცხვირს.

— ფეხებსაც მოუყინავს კაცს?

— ერთ წუთში. მიგაყინავს ფეხებს და ქირურგი უცებ გადაგკვეთს და შეგიხვევს კიდეც.

— ისეთი შემთხვევები ხომ არ ყოფილა რომ მთლად გაყინულიყოს კაცი?

— რამდენიც გნებავთ. შარშან, ჩემო ძმაო, ჩვენ გაგვეყინა მთელი ბატალიონი.

მსმენელებმა ამოიღეს ქაღალდები და დაიწყეს რაღაცის წერა.

— რას შვებით?—შეეკითხა ორატორი.

— ანდერძსა ვწერთ, ბატონო ფელდფებელო.

# შ ა ი რ ე ბ ი

ბაბუაჩემი ბუხართან
ზის და ყალიონს აბოლებს.
ჰიტლერი დუდუკს ამღერებს,
სიკორსკი ფეხებს აყოლებს.

სიკორსკი „კარგად თამაშობს“,
თითის წვერებზე დგებაო,
იგი რომ კისერს მოიტეხს,
ნეტავ ვის დაბრალდებაო?!

ქალო, კარგი ხარ, ლამაზი,
გშვენის ფერადი ფარჩაო.
რომმელს აფრიკა უნდოდა,
ტუნისიც ოხრად დარჩაო.

**ზეგნელი**

## მოაგონა

ნახ. დონისა



— ოკუპირებულ მხარეში მივდივარ სამუშაოდ და ეს ერზაცები მოვიმარაგე ოჯახში დასატოვებლად.

— ერთი რამ მაინც დაგვიწყებია, ფრიც!.. ამბობენ, იქ პარტიზანები არიანო... კარგი იყო ტრაურის მატერიაც მოგემარაგებინა მეუღლისათვის.

## ორი ბერი მარჩიელი

ჯარისკაცს ჰანს შპერს მამა სწერდა: „დღეს ჩვენ გავიგონეთ მე-17 საუკუნეში მცხოვრებ ბერის წინასწარმეტყველების შესახებ, რის მიხედვით რუსეთი დამარცხდება 1943 წლის იანვრისათვის.“

გაზეთებიდან

ადოლფ ჰიტლერს არ ჰყოლია
ცოლშვილი და არც ჰყავს,
რადგან გრძნობა კაცურ კაცის
არც ჰქონია, არც აქვს.

თუ ამ მხრიდან გავეცნობით,
იგი არის ბერი.
ფაშისტების „მოძღვარი“ და
„ღმერთი“—„ფიურერი“,

გერმანელებს მოევლინათ
მარჩიელად იგი,
მის წინაშე ფაშისტების
გაჩნდა გრძელი რიგი,

მას ჰქონია მიხვრა—მოხვრა
და ისეთი ცქერა,
რომ ფაშიზმის „მორწმუნენი“
ბევრი დააჯერა,

რომ რუსეთში მოიპოებს
მალე იგი სივრცეს
და, თვითეულ ფაშისტს მიწას,
სამამულედ მისცემს.

ვადად სამი თვე დანიშნა,
შემდეგ ერთი წელი,
შემდეგ ორი... მაგრამ როცა
დრო გამოდგა გრძელი,

ბევრმა ზურგი შეაქცია,
თუმც შიში აქვთ მისი,
მის სამეფოს ისევ ფარავს
დღეს მხრჩოლავი ნისლი,

აი ამ დროს მოუნახავთ
იქ მკითხავი ძველი,
არ იციან მისი გვარი,
არც გაჩენის წელი.

თითქოს იშვა მეჩვიდმეტე
საუკუნეს „წმინდა“
არიელი,—მოციქულად
ქვეყნად გაჩნდა ციდან.

და მან თურმე გამარჯვება
მიულოცა ჰიტლერს:
„ორმოცდასამ წლის იანვარს
დაამარცხებ შენს მტერს“

ჩვენსკენ ხელი მიუშვირა,
ადოლფ გაახარა,
მის წინაშე მოწიწებით
თავი მან დახარა.

მაგრამ როს მათ წინააღმდეგ
შეტევები ვიწყეთ,
და იანვარს ამაწლისას
მაგრად ზურგში მივცხეთ,

სჩანს მეორე მარჩიელიც
მათთვის არ გამოდგა.
ნაცემ-ნაგვემ არიელებს
კვლავ გმინვა აღმოხდათ.

ფარნა ქვემეხაური

## ცუდი მიწა

ღამე იყო, როცა დაზვერვაზე წავედით. მე წინ მივდიოდი, უკან მომყვებოდა ორი მებრძოლი. ჩვენს წინ მოსჩანდა თოვლით დაფარული მინდორი. საშინელი ცივი ღამე იყო. მაღლა ვარსკვლავები ციმციმებდნენ. [illegible] ვხედავთ, საიდგანღაც განოჩნდა ფრიცი. თოვლში ჩავწევით. იგი შეჩერდა. დგას და მიდამოს ათვალიერებს. ხელები ჯიბეში ჩაუწყვია.

ვფიქრობთ: ალბათ ტყვედ ჩავარდნა განუზრახავს, თორემ რა ეშმაკი უნდა აქ და ისიც ასეთ პოზაში. მებრძოლებს ვავალებ შეიპყრონ.

ჩემი ბრძანება და შესრულება ერთი იყო. მაგრამ, ფრიცი მათ არ ნებდებოდა წარმოიდგინეთ, წინააღმდეგობას ეწეოდა, იკბინებოდა. ჩვენ ბოდიში მოვუხადეთ და ცოტათი დავჭერით, რომ დამშვიდებულიყო და წესიერად მოქცეულიყო. შტაბში წავიყვანეთ, სადაც მას ეკითხებიან: სად მიდიოდი, რა დავალებები გქონდა, რა მიზანი?

იგი სდუმს.

საფულეში დოკუმენტი უნახეთ. ესა და ეს სამი დესიატინა მიწა ეკუთვნის ამასა და ამას. სწორედ დოკუმენტში ის ადგილებია ნაჩვენები, სადაც ჩვენ შევხვდით მას.

შტაბში ატყდა სიცილ-ხარხარი.

— ჰე, ცუდი ხაქმე მოგსვლიათ, ვერ აგირჩევიათ მამულისათვის კარგი ადგილები.— უთხრეს მას.

მეთაური ეკითხება:

— ასე რომ, თქვენს მამულს ათვალიერებდით?

ფრიცი ისევ სდუმს. პაპიროსი მოითხოვა. პაპიროსი მოსწია. შემდეგ კი მოგვახსენა: აღმოსავლეთში ბევრმა მიწები დაირიგა და მათ შორის მეც მივიღე. — ისევ ასტყდა სიცილი.

— ალბათ ძალიან მოგწონთ თქვენი მამული?—დაცინვით შეეკითხნენ მას.

ფრიცმა თავი გააქნია და გვიპასუხა:

— არა, არ მომწონს.

(მოგვითხრო უფროსმა სერჟანტმა ლუჩანსკიმ).

მ. ზოშჩენკო

## კენიგსბერგის ბომბარდირების შემდეგ

ნახ. ა. კანდელაკისა



ჰოლანდიის მოქალაქენი: —ამბობენ თითქოს როტტერდამში ჰიტლერელებს ჰაერში მძიმე ბომბდამშენი აუშვიათ.

— ეგ რა არის, წითელმა მფრინავებმა კენიგსბერგის მთელი უბნები ჰაერში აიტანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გულუბრყვილო ჰანსი

ნახ. ა. კანდელაკისა



— ხედავ რა გულუბრყვილოა ჰანსი!?. წითლების ზურგში მიდის დაზვერვაზე და ბენზინის მარაგი მიაქვს უკან დასაბრუნებლად.
— როგორ, არ დასჭირდება?
— რად უნდა, უკან ვილა გამოუშვებს.

# ფრონტის იუმორი

### ორგანიზებულების ნიმუში

**გენერალი**—პოლკოვნიკო, მზადა ხართ ხვალინდელი შეტევისათვის?

**პოლკოვნიკი** — დიახ გენერალო; ბატონ ოფიცერთა პირადი ქონება უკვე გავგზავნეთ ღრმა ზურგში.

(„სამშობლოს საკეთილდღეოდ“)

### „მხედველობამ უღალატა“

(რუმინელ პოლკოვნიკის მონოლოგიდან)

— მოვხუცდი, მხედველობა მღალატობს: შეტევაზე გადავედი მთელი პოლკით. — როცა უკან ვბრუნდებოდი ვერც ერთი ჯარისკაცი ვეღარ დავინახე.

(„მებრძოლის სიტყვა“)

### საუკეთესო გამოცდა

**კრუპის წარმომადგენელი**—თქვენ უკვე გამოსცადეთ ჩვენი ახალი იარაღები?

**გერმანელი პოლკოვნიკი**—ო, რაღა თქმა, უნდა! ჩვენსავე საკუთარ ზურგზე... თქვენი დამზადებული იარაღები ურტყამენ ჩვენსავე პოზიციებს: ისინი ხელთ ჩაუვარდათ რუსებს.

(„ჩვენი გამარჯვებისათვის“)

### სიზმარი

— რატომ ხარ ასე მოწყენილი, ერკო?

— ეხ, საშინელება მოგველის ეტტი! მე დამესიზმრა თითქოს რუსებმა ალყა შემოგვარტყეს.

— რა სასაცილო ხარ! ამას ისინი ისე განახორციელებენ, რომ ჩვენ არც კი მოგვესიზმრება. („საბრძოლო გზა“)

## გავიხსენოთ!

„ზამთრამდე რუსეთის არმია განადგურდება და გერმანიისათვის იგი საშიშარი აღარ იქნება. გთხოვთ გაიხსენოთ ამის შესახებ რამდენიმე თვის შემდეგ“.

(1942 წ. შემოდგომა. გებელსის საუბარი თურქ ჟურნალისტებთან)

ორმოცდაორი წლის
გავიდა ზამთარი
მაგრამ ჰიტლერელებს
კვლავ უდგათ ავდარი.

ვერ შველის ფაშისტებს
„წამალი“ გებელსის,
ვერც ჰერინგ-ჰიმლერის,
რიბენტროპ და ჰესის.

ფაშისტთა ჟონგლიორს
უნდა გავუხსენოთ,
როგორ გააქენა
მან ნალი უცხენოთ.

იგი ხომ ფაშისტთა
„დოხტური“, ბრძენია,
მას, სინდისგარეცხილს,
არაფრის სცხვენია.

ბევრჯერ „ანადგურა“
მან ჩვენი არმია
მას სურს მოგვაჩვენოს
ყროყინი—არიათ.

დაე, იტრაბახოს,
ჭორები ავრცელოს,
ჩვენმა არმიამ კი—
ფრიცები კვლავ ცელოს.

ყუმბარა

## ჰანსის სიზმარი

მოჰქრის ჰანსი გამალებით,
გადმოლახა მთა და ბარი.
ცდილობს თავი ისახელოს,
და მიიღოს რკინის ჯვარი.

მაგრამ ჩვენი შევარდენი
თავს დაატყდა, როგორც მეხი.
წუწკი ჰანსი დედამიწას
დაანარცხა კისრის ტეხით,

მოიკუნტა და საბრალოდ
ალუღლუღდა ჰანსი—მავნე,—
როცა იგი—შეპყრობილი
ზურგისაკენ გააგზავნეს.

მიიყვანეს სადაც ჯერ არს,
შესაფერი მისცეს ბინა.
და არიელ „ვაჟკაცს“ ჰანსსა
მყისვე ტკბილად ჩაეძინა,

ჩაეძინა და იხილა
მან სიზმარი სანუკვარი:
თითქოს მხრებზე ჩინები აქვს
და მკერდზე კი რკინის ჯვარი.

თითქოს ომში გაიმარჯვა
უდგას შვების დრო ძვირფასი;
და ნაძარცვით დატვირთული
შინ ბრუნდება გმირი ჰანსი.

თითქოს სახლ-კარს მიაღწია
სიამეს გრძნობს უბრწყინვალესს,
ამ დროს ტკბილად გააზმორებს
და უეცრად ახელს თვალებს.

გონზე მოვა, იშმუშნება,
და თავს დახრის მოწყენილი,
იგრძნობს ძალას სინამდვილის...
და სიზმარი ჰქრება ტკბილი.

**ხარ-ვარ**

## ყუბანის ველებზე

ნახ. დონისა



— ამ ადგილზე ზამთრის შემდეგ მწვანე კორდი ამოდიოდა, ახლა კი კორდის ნაცვლად მთელი ტყეები „გაიფურჩქნა“.

43-56

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ნატვრა აუსრულდათ“

ნახ. ა. კანდელაკისა



გააფთრებული ბრძოლების შემდეგ იტალიის არმიის ნაწილები... ისევ „დაბრუნდნენ“ ტრიპოლში.

## უკრაინის ოკუპირებულ რაიონებში

ნახ. დონისა



— გასული კვირის განმავლობაში არც ერთი ბურგომისტრი არ მოუკლავთ პარტიზანებს.

— ნუ თუ ყველა პარტიზანი უკვე მოსპობილია?

— არა, პირიქით, ყველა ბურგომისტრი ამ ოლქში უკვე მოკლულია.

## ძაღლების სიხარული

ბერლინის პოლიციამ გამოაქვეყნა განკარგულება, რომლის მიხედვით სასტიკად აკრძალულია დაუძახონ ცხოველებს სახელმწიფოს ხელმძღვანელთა სახელები.

ბერლინის ერთერთ მოედანს
მოაწყდა ძაღლთა კრებული,
სხვადასხვა ჯიშის, ასაკის
გაჰხმარი დადამბლებული.

ცეკვავდნენ, ხტოდნენ, ყეფდნენ და
ოფლი წურწურით სდიოდათ,
ბევრიც უსაზღვრო ხალისით
ყირაზედ გადადიოდა.
მოცვივდნენ პოლიციელნი,
ეკვეთნენ განრისხებულნი,
მაგრამ მოედანს მტკიცედა
იცავდა ძაღლთა კრებული.

ხალხიც ჰკვირობდა... ხდებოდა
თითქოს ამბავი ზღაპრული,
რომ ამ დროს ნახეს კედელზე
მათ განცხადება გაკრული:
„ბერლინის პოლიციისგან
ქვეყნდება ესე ბრძანება,
მისი დამრღვევის სიცოცხლე
გაჰქრება, როგორც ზმანება.
არვინ უწოდოს ცხოველებს
ქვეყნის არ იყოს ვინც მტერი
ადოლფი, ანუ გერმანი,
ან ჟოზეფი და ჰიტლერი“...
და მართლაც ძაღლთა სიხარულს
აღარა ჰქონდა საზღვარი,
ყეფით იხდიდნენ მადლობას
მიწას გაჰქონდა ზანზარი.

დ. ჯავშანიძე

სარედაქციო კოლეგია.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-10-49

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1943 წ. 19/V. ამხ. ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28. გამომც. № 20 შეკ. № 474 უე 1916